№ 109
ოთხშაბათი, 26 მაისი, 1899 წ.

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 109
ოთხშაბათი, 26 მაისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227



ა. ს. პუშკინი

1799—1899

## ალექსანდრე პუშკინი

—

დღეს ასი წელიწადი სრულდება ალექსანდრე პუშკინის დაბადებიდგან. სრულიად რუსეთი დღესასწაულობს ამ დღეს: დღესასწაულობს ყველა, ვისაც ცოტაოდნად მაინც პოეზიის სიყვარული უღვივის გულში, ვინც მწერლობას პატივსა სცემს, ვინც რუსეთის გონებრივ წარმატებას აფასებს. დღეს რუსეთის ეროვნული დღეობაა, რადგან პუშკინი ყოვლად ნიჭიერი რუსის ეროვნული მგოსანი იყო; პუშკინისაგან იწყება ახალი ხანა რუსეთის მწერლობისა, რომელიც მან დამოუკიდებლობის გზაზე დააყენა, რომელსაც საგანი რუსის საზოგადოების, რუსის ერის ცხოვრებაშივე უპოვა. პოეზიის წყარო თვით ხალხის, ერის ცხოვრება არისო, და ცხოვრება ნამდვილი, არსებული და არა მოგონილი და არა ძალად შექმნილ-შეთხზულიო. ამითი აღინიშნა ახალი, საღი, იმედებით სავსე და ნაყოფიერი მიმართულება. აქ დაიბადა, აქ დაისახა ახალი ერა. პუშკინამდე-კი რუსული მწერლობა დამოუკიდებელ ხასიათს მოკლებული იყო; ევროპიელ მწერალთა გონებრივ გავლენის ქვეშ იყვნენ რუსეთის მწერლები: უცხო აზრი, უცხო გრძნობა, უცხო სურათი გადმოჰქონდათ რუსეთის ნიადაგზე და გადმოჰქონდათ ისე რიგად, რომ ცხოვრებამ ვერ შეითვისა, რუსის ბუნებამ ვერ შეისისხლხორცა: შინაარსიც უცხო და გარეშე იყო და სახეც. ამითი აიხსნება, რომ ყოველ გვარ ლიტერატურულ მიმართულებამ ევროპისამ რუსეთშიაც სადგური იშოვნა, დაიბუდა: ფსევდოკლასიკურმა, სენტიმენტალურმა და რომანტიულ მიმართულებამ—ყველამ თავიანთი მოციქული გაიჩინა რუსეთშიაც.

მთელი მეთვრამეტე საუკუნე, ორისა თუ სამის მაგალითის გარდა, გონებრივი მიბაძვაა ევროპის მწერლობისა. ლომონოსოვმა სცადა მშობლიურ პოეზიისათვის ახალი გზა ეჩვენებინა, მაგრამ ვერ მოახერხა: მისი მეცადინეობა მხოლოდ ლექსთა წყობის განკარგებაზედ შესდგა. პოეზიას ახალი წყარო ვერ მოუპოვა, ცხოვრებას იგი ვერ დაუახლოვა. დერჟავინმა, კარამზინმა და დიმიტრიევმა, მართალია, ამ გზაზედ ცოტა წადგეს წინ ნაბიჯი, მაგრამ ლიტერატურას მაინც სული ვერ ჩაუდგეს, ვერ გააცხოველეს. პუშკინმა კი პოეზია, მწერლობა თვით ცხოვრებას დაუკავშირა. მისი პოეზია რუსეთის ცხოვრების გულიდგან არის ამოღებული, მისი პოეზია თვით ცხოვრებაა რუსეთის საზოგადოებისა, რუსის ერისა, უმაღლესის შემოქმედობის ძალით განამდვილებული, გამშვენებული. ამითი არის პუშკინი რუსეთისათვის თავ-მოსაწონი და სასიქადულო. მან შემოიღო ის რეალიზმიო, ამბობენ ზოგნი, რომელიც ჩვენს დროში რუსეთისა და ევროპის მწერლობის ღერძი გახდა. თუ შემოქმედობის ძალით ცხოვრების დასურათება რეალიზმია, პუშკინს ეს ღირსება არ უნდა წაერთვას და პუშკინი წინაპრად უნდა ჩაითვალოს ეხლანდელ რეალისტებისა.

პოეტი დიდხანს იყო საგანი ორ მოწინააღმდეგე დასთა შორის: ერთი უბრალო ბაირონის მიმბაძველად ხდიდა მას, ხოლო მეორეს მსოფლიო გენიოსად მიაჩნდა. რასაკვირველია, ორივენი სცდებოდნენ. მიბაძვა, მართალია, ეტყობა ჭაბუკობის დროინდელ ნაწერებში, ხოლო მერე და მერე აშკარად დაადგა ახალ გზას და, როგორც ზემოდ ვთქვით, ნამდვილი რუსის საზოგადოების ცხოვრება გაჰხადა თავისის პოეზიის წყაროდ. ამითი გაავლო მან ღრმა კვალი რუსულს ლიტერატურაში და ამ კვალს ჩაუდგნენ რუსის მწერლები: გოგოლი, ლერმონტოვი, სოლოგუბი, ტურგენევი, გონჩაროვი, ტოლსტოი და სხვები.

მსოფლიო გენიოსებს ეძახიან ჰომერს, დანტეს, შექსპირს, გიოტეს. რა თქმა უნდა, ამათა და პუშკინს შუა დიდი საზღვარია. ისინი გამომხატველნი და დამსახველნი არიან მსოფლიო ხასიათებისა, მსოფლიო გრძნობებისა და აზრებისა; მათ შემოქმედობის ნაწარმოებში კაცობრიობა თავისს სახეს ჰხედავს, თავისს ტანჯვას, სიხარულს ჰპოულობს, ისინი კაცობრიობის სულითა სულდგმულობენ, კაცობრიობის ცხოვრებითა სცხოვრობენ, მისის ბედნიერობით ჰხარობენ და მისის უბედობით იტანჯებიან. პუშკინის პოეზიის საზღვარი უფრო ვიწროა. მას მხოლოდ რუსეთი აქვს საგნად, მის ცხოვრებას ჰხატავს იგი შეუდარებელ სიმართლითა და ჭეშმარიტებით და ამითია იგი გენიოსი, მხოლოდ მსოფლიო-კი არა, არამედ რუსეთის ეროვნული გენიოსი. უმეტეს ნაწილმა იმ დროინდელ საზოგადოებისამ ვერ დააფასა პუშკინის

# ფელეტონი

—

## ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი

(ბიოგრაფია)

პუშკინების გვარი წარმოსდგა ვიღაც რადშისაგან. თუმცა თვით პოეტი პუშკინი ამბობს, რომ რადში პრუსიიდგან გადმოსახლდაო, მაგრამ დაჭეშმარიტებით არ იციან, იგი ნემეცი, სლავიანი, ლიტველი თუ უნგრელი იყო. რადშისაგან პუშკინების გარდა წარმოსდგნენ სხვა გვარებიც, როგორც, მაგალითად, სვირლოვები, ბუტურლინები, მიატლოვები, კამენსკიები, ჩუტკოვები და სხვანი. კერძოდ პუშკინების გვარის წინაპარი გრიგორ პუშკა იყო. ეს გვარი რუსულს მატიანეში იხსენიება მეფე იოანნე საშტიკის შემდეგ. უფრო ცნობილნი იყვნენ ამ გვარიდგან ოსტაფ მიხეილის ძე პუშკინი მეფე თეოდორე იოანეს ძის დროს, გაბრიელ გრიგოლის ძე პუშკინი მეფე დიმიტრის დროს და გრიგოლ გაბრიელის ძე. ეს უკანასკნელი რუსეთის ელჩად იყო პოლონეთში და იწოდებოდა „ნოვგოროდის „ნამესტნიკად".

რამდენადაც გამოკვლეულია და ?ტიანეც მოგვითხრობს, პუშკინების გვარის მრავალი წარმომადგენელი ცნობილი იყო თავისის უცნაურობით და არა-ნორმალობით. პოეტის პაპის მამა, მაგალითად, სულით-ავადმყოფი იყო: თავისს ცოლს ორსულობის დროს დანით ყელი გამოსჭრა. არც იმისი შვილი ლევ ალექსანდრეს ძე, პაპა პოეტისა, იყო სრულის ჭკუის პატრონი. მან კიდევ თავისს ცოლს ღალატი შესწამა და ამის გამო შიმშილით მოკლა. თვით პოეტის მამა თუმცა სულით ავადმყოფი არ იყო, მაგრამ უცნაურობა-კი ბევრ რასმეში ეტყობოდა. ერთხელ, მაგალითად, როდესაც საყვარელი ძაღლი ავად გაუხდა, მთელი ორი კვირა დარდით პურს არა სჭამდა. მეორედ, როდესაც ეს ძაღლი მოუკვდა, მატურის დადგმა დააპირა იმის საფლავზედ. მესამედ,—ღრმად მოხუცებულმა, ქვრივმა და მგლოვიარემ (შვილი მოუკვდა) 16 წლის ქალი შეიყვარა და სთხოვა ცოლად გამომყევიო. როდესაც უარი მიიღო, ფრანგულად ლექსებს სწერდა და ამ ლექსებით სიყვარულს უცხადებდა. „მთელი ოჯახი პუშკინისა, მოგვითხრობს მ. ნ. კორფი, რაღაც უცნაური და გაუგებარი იყო. პოეტის მამა ერთის შეხედვით ჭკვიან კაცად გეჩვენებოდათ, ნამდვილად-კი ზარმაცი, გამოუსადეგარი და უტვინო კაცი იყო. ეს არის ლაპარაკი და საუბარი იცოდა კარგი. მეორე მწერლის პ. ნ. ანენკოვის მოწმობით. „მამა პოეტისა მთელ დღეებს უთავბოლო ხეტიალსა და ჭორებში ატარებდა*. პუშკინის ბიოგრაფთა უმრავლესობის აზრით პუშკინის მამა ნამდვილი წარმომადგენელი იყო მაშინდელის ბატონ-ყმობის დროისა: იმისი უმთავრესი საქმე დროს გატარება და ლექსი იყო, ისიც ფრანგული ლექსი. ღრმად განათლებული იგი არ იყო, თუმცა ზერეულად ბევრი რამ იცოდა და ლაპარაკს ყველაფერზედ დაგიწყებდათ. თუ მამამ რაიმე სამსხური გაუწია შვილს, ეს ისევ თავისის მდიდარის წიგნთ-საცავით.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიხსენიოთ ის, რომ პოეტის მამის დედა იტალიელთ შთამომავლობისა იყო, ხოლო პაპის დედა—ბერძენთა შთამომავლობისა.

უფრო საყურადღებო და უფრო მეტ მნიშვნელობასაც აძლევენ ამ ჟამად პოეტის წინაპართ დედის მხრით. უპირველესს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ეს გარემოება, რომ პოეტის დიდედა (დედის დედა) და მამა ნათესავები იყვნენ, სახელდობრ ერთმანეთს შვილი შვილი შვილებად მოჰხვდებოდნენ, ამ რიგად დედა პუშკინისა ნადეჟდა ოსეფის ასული დედით პუშკინისავე ქალი იყო, ხოლო მამით—შვილიშვილი ჰანიბალისა. საყურადღებოა ეს ჰანიბალიც ამიტომ ორიოდე სიტყვაც იმის შესახებაც ვიტყვით.

თვით პიეტს და მრავალ სხვასაც ჰანიბალი დედმდის ზანგად მიაჩნდათ, მაგრამ ახალმა გამოკვლევებმა დაამტკიცეს, რომ იგი შვილი იყო აბაშელის თავადისა, რომელსაც ჩრდილოეთ აბაშეთში მცირე სამთავრო ეპყრა *). აქედგან 7—8 წლის ჰანიბალი ამანათად (მძევლად) სტამბოლში წაიყვანეს. ხოლო სტამბოლიდგან ნახევარის წლის შემდეგ რუსეთის ელჩმა პეტერბურგში გაუგზავნა პეტრე დიდს. იმპერატორს ძლიან შეუყვარდა ჰანიბალი: სასწავლებელში ძისცა, შემდეგ სწავლის განსაგრძობად საფრანგეთში გაგზავნა. საფრანგეთში ჰანიბალმა დიდხანს დაჰყო, სამხედრო სამსახურშიაც-კი შევიდა, მაგრამ მერე ისევ რუსეთში დაბრუნდა, სადაც ეკატერინე დიდის დროს გენერლის ხარისხობამდე მიაღწია. ჰანიბალს ექვსი შვილი ჰყავდა. ამათში უფრო შესანიშნავი იყო ივანე ჰანიბალი, ნავარინის დამპყრობი და ქალაქ ხერსონის დამაარსებელი. ამანაც გენერლობა მიიღო. პოეტის დედა ივანე ჰანიბალის ძმის ოსეფის ქალი იყო.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდგანა სჩანს, პოეტის პუშკინის ძარღვებში მარტო რუსის სისხლი არა ტრიალებდა: იქ მცირეოდენი აბაშელის, ბერძნის და იტალიელის სისხლსაცა ჰქონდა.

სახელოვანი პოეტი დაიბადა ქალაქ მოსკოვში 1799 წელს 26 მაისს, ხუთშაბათს, ამაღლება დღეს. ალექსანდრე პუშკინი პატარაობაში მეტად მოუხეშავი, ტლანქი, მიუხვედრელი და მორცხვი რამ იყო. ცელქობა და სხვა ბავშვებთან თამაშობა საშინლად ეზარებოდა. ხშირად უჯავრდებოდნენ ამისთვის, სახლიდგან აგდებდნენ სათამაშოდ, მაგრამ ბავშვი თამაშობის ნაცვლად თავისს ბებიასთან,—მარიამ ალექსანდრეს ასულ ჰანიბალთან გარბოდა. დედას მაგრე რიგად არც-კი უყვარდა ზანტი ბავშვი და შეიძლება ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ ახალგაზრდა პუშკინი დედასთან ყოფნას ბებიასთან და თავისს გამდელთან ჯდომას ამჯობინებდა. ბებიამ და განსაკუთრებით გამდელმა არინამ მეტად დიდი სამსახური გაუწიეს პატარაობაში პუშკინს; შეასწავლეს პირველად რუსული ენა (პუშკინის ოჯახში თითქმის სულ ფრანგულად ლაპარაკობდნენ), შეაყვარეს რუსეთი და რუსები, იმათ აუტოკეს თავიანთის ზღაპრებითა და სხვადასხვა ამბებით გული ბავშვს და ცნობისმოყვარეობა აღუძრეს.

შვიდის წლის პუშკინმა ნათესავები და ძახლობელნი საშინლად გააკვირვა: მოულოდნელად, რაღაც მი-

*) იხილე „Московскія Вѣдомости" ამა წლისა №№ 99, 106, 114, 120, 121. „А. С. Пушкинъ, Антропологическій эскизъ—დ. ანუჩინისა."

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიჭი, მისი ქვეყნისათვის სამსახური. ბევრსა სძულდა იგი, ბევრი ემტერებოდა, ცილსა სწამებდა და მისის ნიჭის დამცირებასაც სცდილობდა, მაგრამ ამათ პოეტმა უპასუხა:

Поэтъ, не дорожи любовью народной,
Восторженныхъ похвалъ пройдетъ минутный шумъ,
Услышишь судъ глупца и смѣхъ толпы холодной,
Но ты останься твердъ, спокоенъ и угрюмъ!
Ты царь: живи одинъ. Дорогою свободной
Иди, куда влечетъ тебя свободный умъ,
Усовершенствуя плоды любимыхъ думъ,
Не требуя наградъ за подвигъ благородный.

ჩვენთვის, საზოგადოდ კავკასიელთათვის და კერძოდ ქართველებისათვის, პუშკინის მნიშვნელობა თვალსაჩინოა. კავკასიის მომხიბლავი და დიადი ბუნება, კავკასიელ ერთა თავისუფლებისათვის ბრძოლა და თავისუფლების სიყვარული გახადა მან საგნად ზოგიერთ თავისს თხზულებისა. მანამდე რუსეთის პოეზიაში კავკასია ძვირად თუ იხსენებოდა. კავკასია, პუშკინისაგან ყურადღება მიქცეული, შეიქმნა საყვარელ საგნად მისის ღირსეულ მოადგილესი, მიხეილ ლერმონტოვისა, რომელმაც საზოგადოდ კავკასია და კერძოდ საქართველო მრავალ მხრივ აღბეჭდა თავისის მძლავრის, პოეზიით სავსე ლექსით.

კერძოდ ქართველთათვის პუშკინის მნიშვნელობა ფრიად დიდია: ამ სამოცდა ათის წლის განმავლობაში ისეთი ჩამომავლობა არა ყოფილა საქართველოში, რომელსაც რამე ესწავლოს და პუშკინის მუზას არ დასწაფებოდეს. ჩვენი საუკეთესო პოეტები გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, — ამათ ყველა ნაწერებში წილი უძევს პუშკინს. ზოგს ამათგანს ნათარგმნი აქვს პუშკინის ლექსები და ზოგის ლექსებს პუშკინის გავლენა ატყვია.

რუსეთის ნასწავლ საზოგადოებას შეადგენს არა მარტო რუსნი, არამედ წარმომადგენელი მრავალთა ერთა, რომელთაგანაც შესდგება რუსეთი. ყველა ამათ გონებრივ ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად დაუჩნევია კვალი პუშკინის პოეზიას, მოღვაწეობას, ამიტომაც ყველა დღესასწაულობს დღევანდელ დღეს. მისის დაბადების ასის წლის დღეს განსვენებულ პოეტს ასრულდა მისგანვე ნაწინასწარმეტყველები:

Нѣтъ! Весь я не умру! Душа въ завѣтной лирѣ
Мой прахъ переживетъ и тлѣнья убѣжитъ...
Слухъ обо мнѣ пройдетъ по всей Руси великой
И назоветъ меня всякъ сущій въ немъ языкъ...
И долго буду тѣмъ любезенъ я народу,
Что чувства добрыя я лирою пробуждалъ,
Что въ мой жестокій вѣкъ возславилъ я свободу!
И милость къ падшимъ призывалъ.

დავიწყებული მწერალი

## კავკასიის ზვავი

ზვირთნი ხმოვანნი, აღქაფებულნი
შავთ კლდეთ ებრძვიან, ზე ემსხვრევიან;
არწივთ ყრიყინი, ქარიშხალთ ქროლვა
ერთად რეულად მაღლით გვესმიან;
და შორის ნისლთა, ზღვებრ მღელვარეთა,
ვხედავთ მთათ წვერთა მოელვარეთა.
ჟამ ერთ მუნითგან გლეჯილი ზვავი
საზაროს გრგვინვით ქვე კვეთებულა,
და ორთ მთათ შორის მის იწრო სიმაღლით თხემამდე მით აღვსებულა. [ღრმე
და თერგის ზვირთთა
ძლიერი დენა
შეყენებულა.
თერგო მძვინვარევ, მაშინ მშვიდ
განდევნულობით ხმა გაგწყვეტოდა; [იყავ,
მაგრამ უგანით ურიცხვთა ზვირთთა
მალი მდევარი მარჯვედ გიწრებოდა;
და მას ლაშქარსა
მყის განეგლიჯა თოვლის ზღუდენი,
და შენ, გამწყრალსა,
სრულად დაგენთქა შენნი კიდენი.
შემდგომ ეს ზვავი, კარად დებული,
ხანგრძლივ დებულა უდნობლად ზვავად,
და თერგი, მის ქვე მდუღარედ მდენი,
შხაპსა და ქაფსა სცემდისო კვალად
თვისზე მდგომს ყინულს,
კამარად შეკრულს.
მის თავზე ფართო შარა შექმნილა,
ცხენთ უსრბოლიათ, ხართა უბიჯავთ
და ვაჭრობისა ქარვანთა ზურგით
ტვირთნი მძიმენი გადმოუზიდავთ
მუნ, სადაც ეხლა ის არე-მარე
მხოლოდ ცივს ჰაერს და ქართ ჰმთენიათ.

თ. ალ. ჭავჭავაძე

## ანჩარ *)

უდაბნოს მწირსა და განხრეკილსა,
მაწასა, სიცხით ქცეულსა ნაცრად,
ანჩარ, ვის ცათ ქვე მსგავსი არ უვის,
მარტოდ სდგას ჭმუხვილ, მხმილავის მსგავსად.
—
მწუხარვალეთა მათ ველთა ბუნებას
მუნ უშვას იგი, გულის წყრომის ჟამს,
და რტოთა მისთა ბნელნი ფოთოლნი
და თვით ფესვნიცა მრთლივ შეუგესლავს.
—
შუადღის სიცხით როს შეფიცხდება,
ტყავიდგან შხამი გამოსჟონს წულად
და, საღამოს დროს განგრილებული,
სქელდება შეიკრვის ფისად მწვირვალად.
—
არ ეკარვის მას, სიკვდილის ხესა,
არცა მხეცი და არცა მფრინველი;
ქარსაც, განქროლვით მისსა შემხებსა,
თან მისდევს მისი გესლი მმუსრველი!
—
მიმავალისა ღრუბლისაც ცვარი,
რა ეპკურება ფურცელთა მისთა,
იგიცა შხამად გარდაქმნარი
რტოთაგან დასწვიმს ქვიშათა ფიცხთა.
—
მაგრამ კაცმა-კი ანჩარის მიმართ
წარგზავნა კაცი უფლების ძალით;
მონა მორჩილი შეუდგა გზასა
და ხვალე მუნით მოიქცა შხამით.
—
მოიტანა მან სიკვდავი გესლი
და ანჩარის რტო ფურცელ-შემჭკნარი;
ფერ-მკრთალსა შუბლს გარდასჭდოდა
ოფლისა ცივის წყარო მდინარი.
—
მოიტანა და ქვეშე სართულის
დავარდა მიწად მალე მილევული
და უძლეველის უფლისა თვისის
ფერხთა წინაშე უტევა სული.
—
ხოლო თავადმან მყის შხამი იგი
შეასვა თვისთა ისართა მჭრელთა
და მიუსია მათით მუსრი
მესაზღვრეთა და უცხოთა თესლთა!

თ. ალ. ჭავჭავაძე.

*) ჰნიშნავს გესლიან ხეს. პუშკინის Анчаръ-ი დაწერილია 1828 წელს.

## წინასწარმეტყველი

რა დავდიოდი ბნელ უდაბნოსა,
სასულიერო წყურვილი მწვავდა,
და სერაფიმი ჯვარედინ გზასა
მე ექვს ფრთიანი გამომეცხადა.
თითებით მსუბუქით, ვით სიზმარი,
ჩემსა თვალებსა შეეხო ისა,
განმეხსნეს წინა-მხედველნი თვალნი
ვით შეშინებულს დედა-არწივსა.
მერედ ჩემთა ყურთ შეეხო ისა,
ზუზუნით, გუგუნით აღმევსნენ ყურნი
და მსწრაფლ მომესმა მე თრთოლა ცისა,
ანგელოზების ფრენა ციურნი,
აღმოცენება ველზედ ვაზისა
და ზღვის ქვემძრომთა წყლის ქვეშე დენა...
ჩემთა ბაგეთა შეეხო ისა
და ამომგლიჯა ცოდვილი ენა,
ენა ბორიტი, უქმი მეტყველი,
და ბრძენ გველისა მე საქანჯელი,
დალოცვილ ხელით შთამიდგა მანა
ჩემ გასისხლებულ ბაგეთა თანა;
მერე გამიპო მკერდი მახვილით
და ამოიღო მთრთოლვარე გული
და ნაღვერდალი ცეცხლის ალივით
შთადვა ჩემ მკერდში მან ანთებული.
და, როგორც მკვდარი, უდაბნოს ვიწექ
და აღმიძახა უფლის ხმამ: „აღსდგე,
წინასწარ-მეტყველო! სჭვრეტდე, ისმენდე,
ჩემის ნებითა აღივსებოდე
და, მოიარე რა ხმელთ და ზღვათა,
სიტყვით „გულებს უნთებდე კაცთა“!..

ილია ჭავჭავაძე

## რომანსი

შემოდგომაა. ცა ავდრიანობს,
ბინდით მოცულა არე და მარე,
უდაბურს ადგილს ყმაწვილი ქალი
ვიღაც დიაცი სჩანს მომდინარე;
უჭირავს ხელში, ათრთოლებულში,
ცოდვისა შვილი—ტრფიობის ნაყოფი...
ჩუმობა არის: სმენავს სუყველას,
რაც კი რამეა ამ დროს აქ მყოფი...
შესდგა დიაცი შეშინებული,
იყურებოდა აქეთ იქით,
ამოიკვნესა და დასცქეროდა
უმანკო შვილს ყურადღებით...
ქალმა ცოდვილმა წარმოსთქვა მწარედ,
რომ გამჟღავნოს თვისნი ვნებანი:
„შენ გძინავს, შვილო, შვილო ტანჯვისავ,
არ გესმის ჩემი მწუხარებანი!
თვალს რომ გაახელ და ცრემლიანი
ვერ მომეკვრები დედას გულზედა,
ვეღარა ჰნახავ უბედურ დედას,
ხელს ვერ მოუსომ ტკბილ ძუძუზედა!
ვეღარას გარგებს ხელის შოტინი,
აღარ გერგება დედის აღერსი,
მეც საუკუნოდ მრჩება სირცხვილი,
დანაშაული,—რისთვისაც ვკვნესი...
სხვანი გიტვირთვენ, შეგიბრალებენ
და ისე ტანჯვით გამოიზრდები...
გეტყვიან: „ჩვენთვის შენ უცხო ხარო“,
ამოგიჟდება გული ობოლსა,
იგონებ მშობლებს, შენსა ოჯახსა,
და ვერ იპოვნი შენსა მშობელსა
ასე ტანჯული უმანკო სული
უნდა ჭკნებოდე უცხოებშია
და შესტიროდე დედების აღერსს,
მარტო იქნები სხვის შვილებშია...
ასე იქმნები სულით მოღრუბლულ,
მსმენი უკუღრების, ბედის მდევარი...
მოიტევე მე, დედას უბედურს,
და ნუ იქნები ჩემი მწყევარი!..

---

ზეზის გამო, ზანტი და ზარმაცი პუშკინი, ცელქ, მოუსვენარ ბავშვად გარდაიქცა. წინად თუ ძალად აგდებდნენ ბავშვს სათამაშოდ, ამ დღიდგან სახლში ვეღარც კი აჩერებდნენ, მუდამ გარედ გარბოდა, დახტოდა და თამაშობდა. ამავე დროს მასწავლებლები მიუჩინეს და სწავლა დააწყებინეს.

წიგნების კითხვა პუშკინმა ძალიან ადრე დაიწყო. ცხრა-ათის წლისა იყო, როდესაც ფრანგულს ენაზედ ჰომეროსის და პლუტარხის თხზულებანი წაიკითხა. შემდეგ ხელი მიჰყო და სულ გადაიკითხა თავისის მამის მდიდარი წიგნთ-საცავი. ლექსების წერასაც ბავშვი ადრე შეუდგა. საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ პუშკინის ოჯახში იმ დროს ლექსების თხზვა ძალიან იყო გავრცელებული. ლექსებს სწერდნენ მამა პოეტისა, ბიძა და, ასე გასინჯეთ, „კამერდინერიც“. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ პატარა პუშკინიც მალე მიჰბაძავდა იმათს მაგალითს. ამას გარდა, პუშკინის მამასთან ხშირად იკრიბებოდნენ იმ დროის მოლექსენი, ლიტერატორნი და სხვანი, იმათ სჯა-ბაასს მწერლობისა და ლიტერატურის შესახებ ბავშვი ხშირად ესწრებოდა. ეჭვი არ არის, ამასაც გავლენა ექნებოდა ბავშვზედ. ამას გარდა წაკითხული წიგნებიც აქეზებდა ახალგაზრდა პოეტს ლექსების დასაწერად. როდესაც რომელისამე პოემისა, ლექსისა და ან კომედიის კითხვას დაამთავრებდა ხოლმე, შემდეგ თვით შეუდგებოდა ასეთისავე ნაწარმოების შედგენას. მოლიერის კომედიების წაკითხვის შემდეგ თითონვე შეადგინა პატარა კომედია „მტაცებელი“, ლაფონტენის არაკების შემდეგ მრავალი არაკი თითონაც დასწერა და სხვა. მასწავლებელ ქალებსა და კაცებს არ მოსწონდათ ბავშვის ასეთი ვარჯიშობა და ხშირად უჯავრდებოდნენ, „საქმეს“ ნუ სცდებიო.

1811 წელს პუშკინი ახლად დაარსებულ ცარსკოე სელოს ლიცეუმში მიაბარეს. ამ დროს პუშკინი თორმეტის წლისა იყო. ლიცეი მთავრობამ განსაკუთრებით კეთილშობილი შვილებისათვის დააარსა. ყველაფრით კარგად მოაწყეს ეს სასწავლებელი და საქმე პირველს ხანს კარგადაც მიდიოდა, მაგრამ შემდეგში შესამჩნევად დაქვეითდა. ამას გარდა პროფესორებს ერთმანეთში მუდამ კინკლაობა და ჩხუბი ჰქონდათ. საქმე იქამდის მივიდა, რომ მთავრობა იძულებული გახდა ჯერ ინსპექტორად, მერე დირექტორად დაენიშნა სამხედრო კაცი, პოლკოვნიკი ფროლოვი, რომელიც, იმ დროის მოსწავლეთა მოწმობით, „ფელდფებელივით“ ექცეოდა თურმე როგორც პროფესორებს, ისე მოსწავლეებს.

ამ სასწავლებელში პუშკინმა ბევრი ვერაფერი სწავლა-ცოდნა შეიძინა. პროფესორების უბრალო ფორმალისტობამ და საქმის უსიყვარულობამ შესვლისათანავე შეაძულა საგნები, განსაკუთრებით ანგარიში. აღმზრდელნი, როგორც უფროსი ჯარისგან, მორჩილებასა და მონობას თხოულობდნენ მოსწავლეთაგან, პუშკინის მოუსვენარ ბუნებას-კი გაშლა, ფართო ასპარეზი სწყუროდა; იგი ვერ იტანდა შებორკვასა და შეზღუდვას. ამიტომ პირველის დღიდგანვე ახალგაზრდა პოეტი სხვა გზას დაადგა: რამდენსამე ამხანაგთან ერთად წიგნების კითხვას და ლექსებისა და სხვა მოთხრობების თხზვას შეუდგა. ამასთან ამ წრემ მოსწავლეებისამ დაიარსა საკუთარი ჟურნალი, სადაც თავიანთ ლექსებსა, პოემებსა და მოთხრობებს ათავსებდნენ, შემდეგ შეკრებილნი ყველა ამას ჰკითხულობდნენ. ლიცეიში პუშკინმა პირველად რუსულს ენაზედ დაიწყო ლექსების წერა, მანამდე-კი ფრანგულს ენაზედაც სწერდა. ამ დროსვე დაიბეჭდა პირველი იმის ლექსი ჟურნალ „Вѣс. Ев..“-ში. მალე 15 წლის პოეტს ლიცეის გარეთაც გაუვარდა სახელი: იმის ნიჭს უკვე თაყვანის მცემელნი აღმოუჩნდნენ. ლიცეიშივე ყოფნის დროს პუშკინმა გაიცნო იმ დროის პოეტნი და მწერალნი: ჟუკოვსკი, კარამზინი ბატიუშკოვი და სხვანი.

ამავე დროს პოეტი დაუახლოვდა გუსართა რაზმის აფიცრებს, ხშირად დადიოდა იმათთან, დროს ატარებდა და ბოლოს ისე შეუყვარდა ჯარი და აფიცრობა, რომ გადასწყვიტა სწავლის გათავების შემდეგ აფიცრად შესვლა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ეს განზრახვა არ განუხორციელდა.

1817 წელს პუშკინმა დაამთავრა სწავლა და იმავე წელს სამოქალაქო სამსახურში შევიდა,—გარეშე საქმეთა კოლლეგიაში. ჯამაგირი 700 მ. დაენიშნა. სასწავლებლის გათავება და მაღალ საზოგადოების ახალგაზრდათა წრეში ჩარევა ერთი იყო. თითქოს ბორკილი აჰყარეს ფეხებიდგანაო, პოეტი ქეიფს, ლოთობასა და საზოგადოდ მოუსვენარს ცხოვრებას მიეცა. ასეთმა ცხოვრებამ და გადაჭარბებულმა სმამ კინაღამ წუთი სოფელსაც გამოასალმა.

საბედნიეროდ პუშკინს მარტო მოქეიფეებთან არა ჰქონდა კავშირი და დროსაც მარტო ქეიფში არ ატარებდა. ხშირად დადიოდა იგი იმ დროის ისეთ მოწინავე და ჭკვიან კაცებთან, როგორიც იყვნენ კატენინი, ჩაადაევი, ნ. ი. ტურგენევი, რაევსკი და სხვანი. ამასთან თუმცა საკვირველი იყო, მაგრამ იმდენ დროს კიდევ ჰპოულობდა, რომ წინანდელზედ თუ არ მეტი, ნაკლები არ ეწერა. დაამთავრა და საბოლოოდ შეასწორა პოემა „რუსლან და ლუდმილა“; ამ დროსვე დასწერა მრავალი ლექსიც. ასეთ ცხოვრებაში იყო პოეტი, როდესაც 1820 წელი მოახლოვდა.

ამ საუკუნის მეოცე წლები რუსეთის აზროვნობის ისტორიაში შესანიშნავი ხანა იყო. საზოგადოებამ პირველად თითქმის მაშინ გაიღვიძა, მაშინ აღიძრა ლაპარაკი და სჯა-ბაასი საპოლიტიკო და სხვა საგნების შესახებ, დაარსდა მრავალი საიდუმლო საზოგადოება, წრე და სხვა. ყველა ამის მიზეზი, ეჭვი არ არის, საფრანგეთის დიდი რევოლიუცია იყო. ამ რევოლიუციის მიერ აღძრულმა საგნებმა და კითხვებმა რუსეთამდისაც მიაღწიეს, იქაც გამოაფხიზლეს ხალხი და 1812 წლის შემდეგ იქაც დააწყებინეს ლაპარაკი ხალხთა თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ. პუშკინს თუმცა სხვა-და-სხვა საიდუმლო საზოგადოებაში პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ გულმოდგინედ შეუდგა პამფლეტებისა და ეპიგრამების წერას, რომლებშიაც ცუდად იხსენიებდა და ჰკიცხავდა წარჩინებულ და დიდ-ხარისხოვან კაცებს... ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მთავრობამ პუშკინს ყურადღება მიაქცია, სახლი გაუჩხრიკა და თუ არ კარამზინი და ენსგელგარტი, რომელთაც ხელმწიფის წინაშე იშუამდგომლეს, პუშკინს ციმბირშია

შენ გძინავს, შვილო!.. უკანასკნელად
მიგიკრა მაინც ამ ტანჯვის გულზედ,
ხვალ ველარ განხავ მე უბედური,
და დამერთობა მე წყლული წყლულზედ!..
მანამ ხარ ყრმა და სიმწარე შენ
არა გწვევია, იძინე, შვილო!
მანამ ბოროტი და გულს კარამი
არა გჩვევია,—იძინე ტკბილო!“
აქ უცებ მთვარემ გამოანათა
და ტყის პირს ქოხი გამოაჩინა!..
ქალი მთრთოლვარე, დაღონებული
და ფერ-მიხდილი მლივს წადგა წინა;
ქოხის კარებს რა დაუახლოვდა,
მძრს დადო შვილი წყნარად სიფრთხილით,
შეშინებული და ფერ-მიხდილი
უცებ მოჰშორდა ცხარის ტირილით...

თ. რაფ. ერისთავი

## ყ ვ ა ვ ი ლ ი

ყვავილი მხმარი, სუნ-მიღებული,
წიგნს იდვა სრულად დავიწყებული;
მისმა დანახვამ მყისად აღმივსო
შიმოგონებით გული ვნებული.
ნეტარ ეს მდელო სად ყვავებულა?
დიდხანამც მლილა? როდის მოსთლულა?
უცხოს თუ მცნობის ვისიმე ხელით?
და რას მიზეზით აქ შთადებულა?
საგონად ტკბილის ერთად შეყრისა?
თუ ნიშნად მწარის მოშორებისა?
თუ მეუდროთ ველთა და გრილთ ტყეთ
სახსოვრად მარტოდ რონინებისა? [შინა
ნეტა არიან სადმე ცოცხალი
ამის მომწყვეტი კაცი და ქალი?
თუ, გლახ, ისინიც ესრეთვე მჭკნარან,
როგორც ეს მდელო არის მიმქრალი?

თ. ალ. ჭავჭავაძე

## ლ ხ ი ნ ი

(მიბაძვა პუშკინისა)

მე იგი მიყვარს ლხინი, სად თავი-
სუფლება მეფობდეს,
სადაც გულ-წრფელობითა ყოველი მხი-
არულობდეს,
სადაც საღამოთ ცისკრამდის მხოლოდ
დალიე ისმოდეს.
და ჯამი აზარფეშასა და ყანწი თასსა
შესცვლიდეს;
მეც გშრეტდე ჩემსა სატრფოსა, ან მას
ჩემი ხმა ესმოდეს,
და იგი ცისკრად ხვევნაში წარსულსა
ლხინსა მუქვედრიდეს.

თ. გრ. ორბელიანი

## პ უ შ კ ი ნ ი დ გ ა ნ

მახსოვს მე წამი გამოუთქმელი
შენი ჩემ თვალ-წინ მოვლინებისა,
ვითა ჩვენება მიმომფრინველი,
ვით ნიჭი უცხო მშვენიერებისა.

ცხოვრებით დაღლილს, ტანჯულს დარ-
ხრიალში ხალხის ფაცა-ფუცისა, [დებით,
მაღხენდა რაღაც ნაზისა ხმებით
და სიზმრივ ცქერა მისკე ტკბილისა.

გარბოდნენ წელნი, სურვილი ცხარი
განმიქრა, წარხდა მკვლი ოცნება
და დამავიწყდა ხმა საოცარი,
შენი ციური სახის შვენება.

უდაბურს ადგილს, წყვდიად დილეგში
სიცოცხლე ჩემი წყნარად სდნებოდა;
ულვთოდ, უნაშოდ უბრო მკერდში
უცრემლობითა სული მხდებოდა.

სულს კვლავ ეღირსა გამოღვიძება,
კვლავაც გიხილე სახე ტრფობისა,
ვით გამფრინავი რაღაც შვენება,
ვით ნიჭი უცხო მშვენიერობისა.

და, აჰა, გული ფართხალებს შვებით
და რისთვის აღსდგენ ისევ ახალი:
ღმერთი, ნიჭები და ეშხიც ვნებით,
ცრემლი, სიცოცხლე, თრთოლა, კანკა-
ლი...

თ. მამია გურიელი

## ჭეშმარიტება

ამას წინად ბრძენნი ემებდნენ
ჭეშმარიტების დავიწყებულ კვალს;
დიდხანს და დიდხანს იგინი ხსნიდნენ
მოხუცებულთა უწინდელთა აზრს.
და მას ამბობდნენ: ჭეშმარიტება
მიშველი ჭაში ჩვენ გვემალება.
ბეჯითად სვამდნენ რა ისინი წყალს
ჭყვიროდნენ: აბა, აქ ვიპოვით მას.
და ვილაცამ კაცთ კეთილმყოფელმა,
ვგონებ, რომ კიდეც ბრძენმა სილენმა,
მათ სისულელის დიდის მხილველმა,
წყლით და ყვირილით მობეზრებულმა,
ის უხილავი დაანება მათ...
პირველმა ღვინო ღრმად განიხილა,
და, რა დასწურა საკსე ჯამი მთლად,
ჭეშმარიტება ძირში იხილა.

ილია ჭავჭავაძე

## მიბაძვა პუშკინისა.

სიცოცხლევ ფუჭო,
უბრალო ნიჭო,
რად მოეციხარ ჩემთვის ზენასა?
და თუ მიწოდა
არსით სოფლადა,
რასათვის მიმცა მსხვერპლად ტანჯვასა?
რად მომცა სული,
ვნებით აღვსილი,
გონება ეჭვით შეშფოთებული?
და აწმყო—არად,
წარსული—სიზმრად
და მაცდუნებლად თვით მომავალი?
ანუ საგანი
რა არს, ვერ ვსცანი,
ამა სოფლადა ჩემისა მოსვლის?
და გულ-უგრძნობით,
უსასოებით,
ვალ დაბრმავებით გზასა სიცოცხლის!
მაშ რად არ მეთქმის,
რა ვმზერ ჩემის დღის
ესრეთ უმადლოდ ერთგვარ დენასა:
სიცოცხლევ ფუჭო,
უბრალო ნიჭო,
რად მოეციხარ ჩემთვის ზენასა?!

თ. გრ. ორბელიანი

* * *

სურვილნი ჩემნი უკვე დავმარხე,
ოცნებათაგან ვარ გარე მყოფი,
აწ დამშთენია მხოლოდ ტანჯვანი,
გამოფიტულის გულის ნაყოფი.
სასტიკის ბედის ქარიშხალისგან
დასჭკნა გვირგვინი აღუკავებული,
ვცოცხლობ მწუხარე, ობლად შთენილი,
ველი: როს დირს მეყოფს მეც დასასრული?
სწორედ ასევე ყინვით დამზრალი,
როს ისმის სტვენა ქარიშხალისა,
შემოცრცნილს ყლორტზედ მარტოდ
სცახცახებს
ზედ შერჩენილი ფოთოლი ხისა.

ა. ახნაზაროვი

## ღ ა მ ე

(მიბაძვა)

ჩუ, ქარიშხალი ვითა გრიალებს
ბნელს უდაბნოში ბუქთა შტვენითა,
ხან ნადირივით დაიღმუილებს,
ხან ატირდების ყმაწვილივითა,
ხან ვითა ჩალა დაჰქრის შრიალით
შთამოწოლილსა ბანისა ზღუდეს;
ხან დავარდნილის მოგზაურივით
უცებ ფანჯარას მოგვირაკუნებს.
დაყრუებულსა ქოხსა მწირესა
ყარიბად ბჟუტავს მკვარი მგზებარე;
მაგრამ, შენ ქალო, ქალო, შენს მზესა,
რად მოიწყინე, რად ხარ მდუმარე?
ნუ თუ ყურს უგდებ ბუქსა მშტვენელსა,
მკლავ მიბრჯენილი ცივ ფანჯარაზედ?
ან განჭვრეტ ბნელსა, თვალ მიმბინდ-
ველსა?
ან სთვლემ მაშვრალი ტარის ბზრიალზედ?
გამოიფხიზლე: დროა ლხინისა!
განვდევნოთ ჭმუნვა სიმღერის ხმითა.
დიდი ხანია, ჯამი თიხისა,
განვერცხლებული, გელის ღვინითა.
გამოიფხიზლე, დიდი ხანია,
ოთხ სიმიანი, გრძნობის სათქმელად,
ჩანგური ჩემი მომართულია,
და მზად ვარ მასზედ მე ხელის ყოფად.
ჩუ, ქარიშხალი აღზვავებული
ვით გვიქოლავს ბუქით გარსა..
შევსვათ ფიალა აღქაფებული,—
გული ეწევა ნეტარებასა,
აღტაცებითა დავაწკრიალებ
ჩანგურსა ჩემსა ოთხ სიმიანსა,
და სიმღერის ხმით დაცავაყრუებ
ბუქის შრიალსა, ქარის გრიალსა.

თ. მიხ. თუმანიშვილი

## ჩ ი ტ ი

უცხო ქვეყანას გადავარდნილი,
ვასრულებ ისევ მშობლიურ რწმუნებას,
და დატყვევებულს ჩიტს გალიაში
ვუბრუნებ ქვეყნად თავისუფლებას.

* * *

ვმაყოფილი ვარ ჩემის სვე-ბედის,
რადგან ვმადლურო შემდეგში ღმერთსა,
თუ შემიძლიან თავისუფლება
განიჭო თუნდაც ქმნილებას ერთსა?

შ. მღვიმელი

* * *

ნუ ჰმღერი, ტურფავ, ნუ გამაგონებ
საქართველოსას ჰანგებს მწუხარეს,
ნუ გამახსენებ, ნუ მომაგონებ
სხვა ცხოვრებას და შორეულს მხარეს.
ოჰ, მაგ სასტიკის, მწარე ხმა-ჰანგით
კვლავ გამახსენე, კვლავ დამანახვე
მინდორი, ღამე და მთვარის შუქზედ
ქალის საბრალოს, შორს მყოფის სახე.
როს შენა გხედავ, ის ლანდი ტურფა
და უბედური მთლად მავიწყდება,
მაგრამ ჰმღერი და გონების თვალ წინ
იგივე სახე წარმომიდგება.
ნუ ჰმღერი, ტურფავ, ნუ გამაგონებ
საქართველოსას ჰანგებს მწუხარეს,
ნუ გამახსენებ, ნუ მომაგონებ
სხვა ცხოვრებას და შორეულს მხარეს.

ა. ახნაზაროვი

## რუსეთის დიდებული მგოსანი

ჩემ წინ გარდაშლილია ამ ჟამად ერთი ლამაზი და საგულისხმიერო სურათი. სავარძელში ჰზის ღრმად მოხუცებული მანდილოსანი; ხელში წინდის ჩხირები და წინდა უჭირავს. ცხადადა სჩანს, რომ ამას წინად მოხუცებულს უქსოვია ეს წინდა, მაგრამ შემდეგ თითების მოძრაობა შეუჩერებია, სავარძელზედ გადასვენებულა და თავისის დიდრონი სათვალეებით გასცქერის იქვე ახლო სტოლზედ ორთავ იდაყვებით დაბჯენილ პატარა ყმაწვილს. პირველ დახედვაზედ სახე ამ ყმაწვილისა არ მოგეწონებათ: გატყაპული ცხვირი და სქვილი, დიდრონი ტუჩები ვერაფრად საამურია თვალისათვის. მაგრამ ეს პირველი შთაბეჭდილება მალე სუსტდება და შემდეგ

ამოაყოფინებდნენ თავს. ამ ჟამად-კი პოეტი ადვილად გადარჩა,—მხოლოდ სატახტო ქალაქს მოაშორეს და სამხრეთ რუსეთში გაამწესეს.

1820 წელს 21 წლის პოეტი სამხრეთის გზას გაუდგა. პუშკინის ცხოვრების ამ ხანის დაწვრილებით აღწერას არ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ აქაც, როგორც პეტერბურგში, პუშკინი მოხელეთ სრულიად არ გამოდგა. უმეტეს დროს იგი მგზავრობაში ატარებდა: ორს კვირას ეკატერინოსლავში დაჰყო, შემდეგ იქიდგან გენერალ რაევსკის ჩრდილოეთ კავკასიაში გამოჰყვა, ორის თვის შემდეგ აქედგან ყირიმში დაბრუნდა, მერე ოდესსაში, შემდეგ კიშინევში, სადაც სამს წელიწადს დაჰყო და ბოლოს ისევ ოდესსასვე მოადგა. კიშინევში ყოფნის დროს ქეიფსა და დროს გატარებას ხელახლა მიჰყო ხელი: ორჯერ-სამჯერ დუელიც-კი ჰქონდა. 1824 წელს მთავრობას ხელთ ჩაუვარდა პუშკინის ერთი წერილი, რის გამოც იგი სამსახურიდგან დაითხოვეს, როგორც გამოუსადეგარი მოხელე და მავნე მწერალი, მავნე აზრების გამავრცელებელი.

ყოველ ამისდა მიუხედავად სამხრეთ რუსეთში ყოფნამ და მგზავრობამ პუშკინს ბევრი სარგებლობა მოუტანა. ახალმა ბუნებამ, ახალმა ადგილებმა და საზოგადოებამ მრავალი ახალი რამ შესძინა პოეტს. ამ დროს მან დასწერა, სხვათა შორის: „კავკასიის ტყვე“, „ძმანი ავაზაკნი“, „ბახჩი-სარაის შადრევანი“, და პირველი თავი „ევგენი ონეგინისა“.

ამ რიგად პუშკინმა 1824 წელს სამსახურს თავი გაანება. პოეტი თავისს სოფელს მიხაილოვსკში (პსკოვის გუბერნიაშია) დაბრუნდა და იქ წყნარ ცხოვრებას შეუდგა: კითხულობდა, სწერდა და მეზობლებთან დადიოდა სტუმრად. მთავრობა იქაც ადევნებდა თვალ-ყურს და ეს გარემოება-კი პოეტის მგრძნობიარე გულს ლახვარსავითა ჰხვდებოდა. პუშკინი საზღვარ-გარედ აპირებდა წასვლას, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო. ამ დროს დეკაბრისტების შეთქმულობაც მოხდა. პუშკინს თუმცა მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ, როგორც უკვე შენიშნული კაცი, მთავრობამ არც ის დაივიწყა.

1826 წ. 2 სექტემბერს პუშკინი პეტერბურგში ხელმწიფე იმპერატორთან დაიბარეს.

— გამარჯვება, პუშკინ,—მიჰმართა ხელმწიფემ, როდესაც პუშკინი წარუდგა:—გულ-ახდით მითხარი, 14 დეკემბერს მიიღებდი თუ არა მონაწილეობას, პეტერბურგში რომ ყოფილიყავ?

— უეჭველად, ხელმწიფევ, მიუგო პუშკინმა. ყველა ჩემმა მეგობრებმა მიიღეს მონაწილეობა შეთქმულობაში და მე რას ჩამოვრჩებოდი. მხოლოდ სხვაგან ყოფნამ გადამარჩინა.

ხელმწიფეს ძალიან მოეწონა პუშკინის პასუხი და ლაპარაკი გაუბა. ისე გაერთო ამ ლაპარაკში პუშკინი, რომ იმპერატორის ნიკოლოზის წინ სტოლზედ შესკუპდა და ფეხები ჩამოჰკიდა. ხელმწიფემ რა დაინახა ეს, მაშინვე მიტრიალდა და თავისთვის სთქვა: „პოეტთან არ შეიძლება მოწყალედ ყოფნაო“.

თუმცა ხელმწიფემ კარგად მიიღო და გამოისტუმრა, მაგრამ ამ გარემოებამაც პუშკინს თავი ვერ დაახწევინა მთავრობისა და პოლიციის დევნას. პირ-იქით ამ დღიდგან პოეტი უფრო თვალში ამოიღეს.

პეტერბურგში დაბარებამდე სოფ. მიხაილოვსკში პუშკინმა დასწერა, სხვათა შორის, ისტორიული დრამა „ბორის გოდუნოვი“ და ექვსი თავი ევგენი ონეგინისა.

იმ დროს პუშკინმა ხელ-ახლად ითხოვა საზღვარ გარეთ გამგზავრების ნება-რთვა, მაგრამ კიდევ უარი უთხრეს. სამაგიეროდ 1829 წელს ნება დაურთველად გამოემგზავრა ამიერ-კავკასიაში, სადაც ამ დროს რუსეთს ოსმალეთთან ომი ჰქონდა. პოეტმა საქართველო გაიარა არზრუმამდე და შემდეგ იქიდგან მალე უკანვე რუსეთს დაბრუნდა.

ცოტა ამაზედ ადრე პუშკინმა გაიცნო ნატალია ნიკოლოზის ასული გონჩაროვისა, ჯერ-სულ ახალგაზრდა 15 წლის ქალი. პუშკინს ძალიან მოეწონა გონჩაროვისა და კავკასიიდგან პეტერბურგში დაბრუნებისათანავე ცოლად შეირთო.

უკანასკნელი შვიდი წელიწადი პუშკინმა თითქმის პეტერბურგში გაატარა. ეს ხანა მეტად ნაყოფიერი იყო პუშკინისათვის. ამ დროს დასწერა: „პოლტავა“, „ძუნწი რაინდი“, „მოცარტ და სალიერი“, „დონ-ჟუანი“, წვრილი მოთხრობანი, „კაპიტნის ქალი“, „პუგაჩევის აჯანყების ისტორია“, „მებადურისა და თევზის ზღაპარი“ და მრავალი სხვა.

1831 წელს პუშკინს ხელ-ახლა მისცეს სამსახური გარეშე საქმეთა კოლლეგიაში და კარგი ჯამაგირიც დაუნიშნეს ოჯახში ახალგაზრდა ცოლთან პოეტი ტკბილად სცხოვრობდა; პუშკინის სახელი მთელს რუსეთს მოედო; იმის ლექსებს ყველგან, ოჯახში თუ გარეთ, კითხულობდნენ და მღეროდნენ; მაგრამ, ამისდა მიუხედავად, რაც დრო და ხანი გადიოდა, პოეტის გული უფრო დარდსა და ნაღველს ეძლეოდა. ცალკე მთავრობისა და ცენზურის შევიწროება (საშინლად აძნელებდნენ იმის თხზულებათა ბეჭვდას, ზოგის დაბეჭდის ნებას სრულიად არ აძლევდნენ), ცალკე მაღალს საზოგადოებაში ფუქსავატმა და უაზრო ცხოვრებამ, ცალკე კიდევ მუდამ ფულის ძებნამ და გაჭირვებამ პოეტს სულიერი ძალ-ღონე დაუკარგა და სიმტკიცე გამოაცალა. ამას ზედ უბედურებაც დაერთო, რომელმაც სამუდამოდ გამოასალმა წუთისოფელს სახელოვანი პოეტი, რუსეთის დიდება და თავ მოსაწონებელი.

მაღალს საზოგადოებაში პოეტის მტერ-მოყვარეთ ტყუილი ხმები გაავრცელს პოეტის ლამაზს ცოლსა და ახალგაზრდა, წარმოსადეგ აფიცერ ჟორჟ გეკკერნ დანტესის შესახებ (დანტესი საფრანგეთის ქვეშევრდომი იყო). ეს ხმები მაშინაც-კი არ მოისპო, როდესაც დანტესმა პუშკინის ცოლის და შეირთო. შედეგად ამ ჭორებს დუელი მოჰყვა, რომლის დროსაც 1837 წელს, 27 იანვარს, პუშკინი სასიკვდილოდ დაიჭრა. ორის დღის შემდეგ პოეტმა სამუდამოდ დახუჭა თვალები.

პუშკინის გარდაცვალების ამბავი საშინელის სისწრაფით მოედო არა თუ პეტერბურგს, არამედ მთელს რუსეთს. იმავე დღეს მიცვალებულის სახლში აურებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ახალგაზრდა პოეტის ლერმონტოვის ლექსმა „პუშკინის გარდაცვალებაზედ“ რუსეთის საზოგადოება გამოაღვიძა და დაანახვა, რომ რაოდენადმე ამ საზოგადოებასაც მიუძღვის დანაშაული დიდებულის პოეტის უდროოდ სიკვდილში.

პუშკინის გვამი 1837 წელს, 3 თებერვალს დაასაფლავეს.

ი. ა—ძე

ჰკრება კიდეც სხვაგვარ გრძნობათა გამო. ლამაზი, ხუჭუჭის თმით შემკული თავი, მაღალი შუბლი და დიდი, ჩაფიქრებული თვალები ძლიერად იზიდავენ თავიანთკენ თქვენს ყურადღებას. დასცქერით სურათს და, რამდენიც მეტი დრო გადის, იმდენად მეტს სიამოვნებას ჰპოებს თქვენი სული ამ ცქერაში. ჰგრძნობთ, რომ ეს სურათი არ არის უბრალო, ჩვეულებრივი სახე ბავშვისა, რომ ამ სახეს რაღაც ნათელი ბეჭედი აზის „ზეგარდმო მადლით ცხებულის“ ადამიანისა. სურათი ისეა გამოყვანილი, რომ მაცქერალს ცხადად აგრძნობინებს, — რა მდგომარეობაშიაც არის ამ ჟამად სული და გული ამ ბავშვისა. ჰხედავთ, რომ ბავშვის ჭკუა-გონება რაღაცა საგნით არის გატაცებული: სულ განაბული სდგას იგი და ისე შესცქერის მოხუც მანდილოსანს, თითქო მისი ჩაყლაპვა უნდაო, თითქო მას პირიდგან მარგალიტები სცვივა და ეშინიან ძირს დედამიწაზედ არ დაეცეს, სხვამ არავინ არ მომტაცოსო. სურათს ქვეშ უწერია: ბავშვი პუშკინი და მისი აღმზრდელი ირინე რადიონის ასული.

დიახ, აქ არის დახატული პატარა, შვიდი-რვა წლის პუშკინი, რომელსაც ზღაპრებს ეუბნება მისი კეთილი და ჭკვიანი გამდელი მოხუცი ირინე. სჩანს, ამ ამბავს პუშკინის ცხოვრებაში რაიმე დიდი მნიშვნელობა ჰქონია, თორემ უამისოდ ვინ შეიწუხებდა თავსა ამ გვარის სურათების ხატვისათვის?.. დიახ, ჩემო ბატონო, მოხუცი ირინე და მისი სახალხო ზღაპრები რომ არა ყოფილიყვნენ, იქნება პუშკინის პოეტურ ნიჭიერებას სრულად ვერ გაეშალა ის დიადი, მძლავრი ფრთები ეროვნულ პოეზიისა, რომლის გამო მისი სახელი უკვდავების ბრწყინვალებით შეიმოსა. ამ სახელით დღეს მთელის რუსეთის ერი თავმოწონებულია. ამ სახელს გუნდრუკს უკმევს ას-ოც მილიონზე მეტი მცხოვრები უზარ-მაზარის რუსეთის სახელმწიფოსი ეროვნებისა, შთამომავლობისა და წოდების განურჩევლად. მას შემდეგ, რაც საქართველო დიდებულ რუსეთს შეუერთდა, თვისი ბედი და უბედობაც მის მედიდბალს დაუკავშირა. ამიტომ, გუშინ თუ გული გვეტანჯებოდა დამშეულ გუბერნიების ამბის სმენითა, დღეს აღფრთოვანებულის გრძნობით ხელს ვუწვდით ჩვენს უფროსს ძმას — რუსეთის ერს — და მასთან ერთად ვდღესასწაულობთ დიდებულის მგოსნის დაბადების დღეს.

—

ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი დაიბადა ქ. მოსკოვში 26 მაისს 1799 წ. მაშინდელი რუსეთის არისტოკრატია ძალიან წააგავდა აწინდელს ჩვენს მაღალს საზოგადოებას. ბავშვების აღზრდა განათლებისა მას არა გაეგებოდა რა და ამის გამო აკვანშივე ბავშვს ფრანგულად აწყებინებდა ტიკტიკს... პაწია პუშკინიც ვერ ასცდა ამ უკუღმართობას. ერთის ჭკვიანი რუსის სიტყვით, პუშკინი გამოვიდოდა ერთ იმ გაფრანგებულ რუსთაგანი, რომელთა მსგავსით სავსე იყო მთელი მაშინდელი მაღალი საზოგადოება რუსებისა. საბედნიეროდ, პატარა პუშკინს მფარველ ანგელოზად მოევლინა მოხუცი ირინე, რომელმაც ასწავლა პატარას რუსული ენა და შემდეგ, როცა ბავშვი მოიზარდა, მის გრძნობიერ სულსა და გონებას წინ გადუშალა დიდებული საუნჯე ეროვნულის პოეზიისა. მოხუცი დედა-ბერი ხშირად ეუბნებოდა ხოლმე ცნობის მოყვარე ნიჭიერ ბავშვს სხვა-და-სხვა ზღაპრებს, არაკებს, ანდაზებს, გამოცანებს, ასწავლიდა ზეპირად სახალხო ლექსებს. მოგეხსენებათ, რომ ეროვნულს პოეზიაში გამოხატულია მთელის ერის სულიერ ცხოვრების ნაყოფი, შედეგი მისის შემოქმედობით ნიჭის მოქმედებისა. რაც კი ერს მრავალ საუკუნის განმავლობაში ჰქონია და ლხინი უნახავს, მწუხარება და მხიარულება გამოუცდია, გამარჯვებითა და დამარცხებით აწეულ-დაწეულა, ყოველსავე ამას თავისი კვალი ღრმად აღუბეჭდავს ერის საერთო სულსა და გულში და შემდეგ აქედგან ანკარა ნაკადულსავით გადმოჩქრიალებულა ეროვნულს პოეზიაში. ცხადია, რა დიადი, საბედნიერო გავლენა უნდა მოახდინოს საერო პოეზიამ ყოველ ნორჩსა და ნიჭიერ სულზედ. საერო პოეზია ამ გვარ სულს დიდებულ სარკედ გარდაეშლება წინა; იგი იქ ცხადად დაინახავს თავისს მამა-პაპათა წარსულ თავგადასავალს, მათ სულსა და გულს. შეისწავლის მათ და ამ შესწავლით მტკიცე სულიერ კავშირს გააბამს აწმყოსა და წარსულს შორის...

საუბედუროდ, ქართველებს ძალიან ნაკლებად გვესმის ასეთი დიდი მნიშვნელობა საერო პოეზიისა და შეიძლება კიდეც აქ იყოს ჩამარხული უმთავრესი მიზეზი ჩვენის ეროვნულ გრძნობის სისუსტისა და სივაგლახისა. ჩვენებურს მაღალ საზოგადოებაში ბავშვს ისე არიდებენ საერო პოეზიის კეთილს გავლენას, როგორც რომელსამე გადამდებ სენსა... მშობელნი სიხარულით ცას ეწევიან, როდესაც მათი პაწია ბალღი უცხო ენაზედ იწყებს ტიკტიკს. ვერა ჰგრძნობენ, რომ ამ უბედურის ბავშვის ნიჭისა და გონების თავისუფალ, ბუნებრივ განვითარებას სამარეს უთხრიან ამითი. პუშკინის მაღალ ნიჭიერებასაც ამ გვარივე სამარე დახვდებოდა წინ, თუ ბედზედ მოხუცი ირინე არ გასჩენოდა აღმზრდელად. ამ მოხუცის გავლენით პუშკინმა ყმაწვილობაშივე გაიცნო და შეიგნო ეროვნული პოეზია; ამ პოეზიის მადლიან ემბაზში მოინათლა მისი გული და სული... და აქედგან შემდეგ უკვდავების წყაროსავით იწყო ჩქრიალი პუშკინის მშვენიერმა ლექსებმა, რომელთა მსგავსი ჯერ სრულიად არ ენახა რუსეთის ერსა.

დიდებულმა მგოსანმა სულ ოციოდე წელიწადი იღვაწა და ამ მცირე ხნის განმავლობაში ბევრი არ დარჩენილა ისეთი მოვლენა რუსეთის ერის ცხოვრებისა, რომ მისი მადლიანი კალამი არ შეჰხებოდეს. მრავალ ფეროვანი მოვლენანი ბუნებისა ხშირად იზიდავდნენ ხოლმე თავისაკენ პუშკინის ყურადღებასა და ამ საგანზედ დაწერილი მისი ლექსები სავსეა კეთილ-ხმოვანებითა, მაღალის გულისა და სულის აღმტაცის პოეზიითა. მისგან გალექსილი ზღაპრები, ლეგენდები, გარდმოცემანი ისეთის ენით და ლექსით არის დაწერილი, რომ საუკეთესო ეროვნულ-პოეტურ ნაწარმოებთ არ ჩამოუვარდება. მის მშვენიერ პოემებს, დრამებს ნამდვილი გენიოსის კურთხეული ბეჭედი აზის. მოთხრობები პუშკინისა ვერ აკმაყოფილებს ხელოვნების აწინდელ მოთხოვნილებას, მაგრამ არც იგია დიდს მნიშვნელობას მოკლებული. პროზა, რომლითაც ეს მოთხრობანია დაწერილი, დაშორებით მაღლა სდგას წინადროების მწერალთა პროზაზედ ენის სიმარტივით, სიცხადითა და კეთილ ხმოვანებით. შეიძლება დაჭეშმარიტებით ვაღიაროთ, რომ ტურგენევის დიდებული პროზა უპუშკინოდ შეუძლებელი იქმნებოდა. ყველა ამის გამო რუსეთის წარჩინებული კრიტიკოსები: ბელინსკი, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი დიდს მნიშვნელობას აწერენ პუშკინის სალიტერატურო მოღვაწეობასა და ქება-დიდებით იხსენიებენ მის მაღალ პოეტურ ნიჭს.

1829 წელს პუშკინი ჩვენს ქვეყანაში მოვიდა. ნახა კავკასიონის თემი, მისი მცხოვრებნი, ველნი და ხეობანი საქართველოსი და აღტაცებაში მოსულმა რამდენიმე მშვენიერი ლექსი უძღვნა მათ. მაგრამ არა მხოლოდ ამ ლექსების გამო არის ჩვენთვის, ქართველებისთვის, ძვირფასი და დაუვიწყარი პუშკინი, არამედ მას მიუძღვის ჩვენზედ უფრო დიდი ღვაწლი. ბევრი არ არის არც ევროპასა და არც რუსეთში მეორე ისეთი მწერალი, რომლის თხზულებათაგან იმდენი ეთარგმნოთ ქართველებს, რამდენიც პუშკინის თხზულებათაგან. ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს იმ დიად გავლენას, რომელიც იმასა ჰქონდა ჩვენს მწერლებზედ. მხოლოდ ამისთანა მწერლებს შეუძლიანთ იმ წმიდა და შეურყეველ კავშირის, ძმობისა და სიყვარულის დამკვიდრება სხვა-და-სხვა ერთა შორის, რომელიც სანატრელია ყოველის აწინდელის ქართველისათვის. მაშ დიდება და უკვდავება პუშკინის დიდებულს სახელს!!. აღტაცებულის გრძნობით შორიდგან ხელს ვუწვდით ჩვენს უფროსს ძმებს — რუსეთის ერსა და მასთან ერთად ვღაღადებთ: დიდება და უკვდავება პუშკინის სახელს!..

არბოელი

---

## დამკვირდი

(პუშკინისა)

როგორც ქარს და არწივს, ისეც გულს ქალისას კანონები არა აქვს.

***

ზეგარდმო-შთაგონება არ იყიდება, შესაძლოა მარტო ხელთ-ნაწერი გაიყიდოს.

***

ეხლანდელ დროში ვირიც-კი იჩხოლება.

***

უოკვლოვის აგრე იქნება და აგრეც უოფილა, მკელის-მკლადგანვე ქსკა გს წუთის-სოფელი: მსწავლული ბევრია, ჭკვიანი ცოტა, ნაცნობი მრავალი და მეგობარი-კი არც ერთი.

***

რა არის სახელი და დიდება? ჩიფჩიფი მკითხველისა, ლანძღვა-გინება სულმდაბალისა, თუ აღტაცება სულელისა?

***

უოკვლივე ჩემია, სთქვა ოქრომ; უოკვლივე ჩემია სთქვა ხმალმა. უოკვლსავე გიყიდი, სთქვა ოქრომ; უოკვლსავე ხელთ ვიგდებ, სთქვა ხმალმა.

***

შესაძლოა კაცი საქმიანიც იყოს და ფრჩხილების სილამაზისათვისაც ჰფიქრობდეს.

***

ზეგარდმო-შთაგონებას ვერ მოიწვევ: თვითონ იგი უნდა ეწვიოს პოეტსა.

---

## ნაკვესები

(პუშკინის ნაამბობი)

დენისა დავიდოვი ერთხელ მივიდა მოწინავე ჯარში და მოახსენა ბაგრატიონს: „მთავარ სარდალმა მიბრძანა მოგახსენო თქვენს ბრწყინვალებას, რომ მტერი თითქმის ცხვირ-წინ გვიდგათ და გთხოვთ დაუყოვნებლივ უკუ იქცეთო. ბაგრატიონმა უპასუხა: „ცხვირწინაო? ვის ცხვირ წინ? თუ შენს ცხვირ წინ, მართლა ახლო ყოფილა, თუ ჩემ ცხვირ წინ *), ჯერ კიდევ შორს ყოფილა, სადილის ჭამას კიდევაც მოვასწრებთო“.

***

ხელმწიფე დიდხანს არ აძლევდა პოლკოვნიკს ბოლდირევს დენერლობას, რადგანაც ქაღალდის მოთამაშე იყო. ერთხელ სასახლეში რაღაც დღესასწაული იყო და ხელმწიფე რომ მაბანდე ბოდა ეკკლესიაში, გზად შეხვდა ბოლდირევს და უბძანა: „ბოლდირევ, მომილოცავსო“. ბოლდირევმა სიხარულით არ იცოდა რა ექმნა. ბოლდირევს და სხვებსაც, ვინც ამ ამბავს დაესწრო, ეგონათ, რომ ხელმწიფემ დენერლობა მიულოცაო. ხელმწიფე რომ გამობძანდა ეკკლესიიდამ ბოლდირევს კვლავ ახლო გაუარა და უბძანა: „მომილოცავს, ამბობენ, გუშინ ქაღალდში ფული მოგიგიაო“. ბოლდირევს მწუხარებით ფერი ეცვალა.

***

მოხუცი დენერალი „სჩ...“ იახლა იმპერატრიცა ეკატერინე მეორესა გამოსაცხადებლად. იმპერატრიცამ უბძანა: „მე აქამომდე თქვენი ცნობა არა მქონიაო“. „მეც, ჩემო დიდებულო ხელმწიფევ, არა მქონია თქვენი ცნობაო“, უპასუხა გულუბრყვილო დენერალმა. „მწამს ეგ თქვენი სიტყვა და საკვირველიც არ არის, უპასუხა ეკატერინემ ღიმილით: აბა სად და რად გამიცნობდით, ერთი საწყალი ქვრივი დედაკაცი ვარო“.

*) ბაგრატიონი დიდის ცხვირის პატრონი იყო.

---

## წესრიგი

### პუშკინის დღესასწაულის გარდახდისა.

დღეს ალექსანდრეს ბაღში გარდახდილ იქმნება საზოგადო პანაშვიდი პუშკინის მოსახსენებლად. ბაღში დანიშნულს საათზედ შეიკრიბებიან ყველა დეპუტაციები და ქალაქის სასწავლებლები.

ალექსანდრეს ბაღიდგან მოდღესასწაულენი გაემართებიან გოლოვინის პროსპექტით, სასახლის ქუჩით და ერევნის მოედნით პუშკინის ბაღში ამ რიგად:

### I ჯგუფი. დეპუტაციები.

1. სლავიანსკის ხორო გაივლის, გაჩერდება პუშკინის ძეგლთან და დეპუტაციების მიერ ძეგლის გვირგვინებით შემკობის დროს უგალობებს პუშკინს „დიდებას“.
2. კავკასიის ძველი მეომრები, სამსახურიდგან გადამდგარი გენერლები და აფიცრები გაატარებენ კავკასიის ჯარის ფარს.
3. ქალაქის მოურავი, ქალაქისა და წოდებათა წარმომადგენელნი.
4. მწერლობის წარმომადგენელნი.
5. სახაზინო თეატრის გამგეობა.
6. ბ-ნ სოლოვიოვის დრამატიული დასი.
7. არტისტთა საზოგადოება.
8. თეატრის „გართობა და სარგებლობის“ დასი.
9. ქართველთა დრამატიული დასი.
10. სომეხთა დრამატიული დასი.
11. „კავკასიის კაზმულ ხელოვნებათა დამხმარებელი საზოგადოება“.
12. სახალხო კითხვების კომისია.
13. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.
14. სომხურ წიგნების გამომცემელი საზოგადოება“.
15. „კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოება“.
16. „კავკასიის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოება“.
17. „ტფილისის ტეხნოლოგთა საზოგადოება“.
18. „ტფილისის მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“.
19. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის წარმომადგენელნი.
20. „ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოება“.
21. „გაჭირვებულ გადმოსახლებულთა დამხმარებელი საზოგადოება“.
22. „ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოების“ გამგეობა.
23. მე-2 საკვირაო სკოლის მასწავლებელ ქალთა დეპუტაცია.
24. საფრანგეთის საგეოგრაფიო საზოგადოების დეპუტაცია და სხ...

### II ჯგუფი. დედათა გიმნაზიები.

1. 1-ლი დედათა გიმნაზია პირველ სავაჟო გიმნაზიის ორკესტრით.
2. მე-2 დედათა გიმნაზია მეორე სავაჟო გიმნაზიის ორკესტრით.
3. მე-3 დედათა გიმნაზია მესამე სავაჟო გიმნაზიის ორკესტრით.

### III ჯგუფი. დედათა სკოლები.

გაივლიან პირველ საქალაქო სასწავლებლის ორკესტრით.

1. კუკიისა.
2. სოფიისა.
3. შუა-ბაზრისა.
4. ავლაბრისა (ოთხივე სასწავლებელი საქველ-მოქმედო საზოგადოებისა).
5. რკინის გზისა.
6. მოლნილისა.
7. ნორაშენისა.
8. სურფ-ნიშანისა.
9. თანდოევისა.

### IV ჯგუფი. სხვა-და-სხვა სკოლები.

გაივლიან რკინის გზის სასწავლებლის ორკესტრით.

1. ლოტრანგთა სკოლა.
2. კათოლიკეთა.
3. ალექსანდრეს სახლობის თავშესაფარი.
4. ნადეჟდას სახლობის თავშესაფარი.
5. კნ. არღუთინსკი-დოლგორუკის კერძო პანსიონი.
6. ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოების პირველი საბავშვო სახლი.
7. მალაკანთა პირველი სკოლა.
8. მალაკანთა მეორე სკოლა.
9. შამხორის სკოლა.
10. ეჩმიაძინისა.
11. ჯიგრაშენისა.
12. სურბ-გეურქისა.
13. კუკია-ნორაშენისა.
14. სურფ-კარაპეტისა.
15. კაიდანოვისა.
16. პირველი საკვირაო სკოლა.

### V ჯგუფი. ქალაქის ხარჯზედ დაარსებული სკოლები.

გაივლიან მურაშკოს ბავშვთა ორკესტრით.

1. ავლაბრის 1-ლი სახალხო სკოლა.
2. ავლაბრის მეორე სკოლა.
3. ავლაბრის დედათა სკოლა.
4. ვერისა 1-ლი.
5. ვერისა — მე-2.
6. მამა-დავითისა.
7. კუკიისა 1-ლი.
8. კუკიისა მე-2.
9. კუკიისა მე-3 (დიდუბისა).
10. სოლოლაკისა.
11. ჩუღურეთისა.
12. წყნეთის დედათა სკოლა.

### VI ჯგუფი.

მიხეილის რკინის გზის სასწავლებლის ორკესტრით.

1. მიხეილის სახელობის რკინის გზის სასწავლებელი.
2. სათავად-აზნაურო სკოლა.
3. სომეხთა სასულიერო სემინარია.
4. მელიქ-ბეგლიაროვის სკოლა.
5. ქ-ნის ყორღანოვის სკოლა.
6. ბ-ნის ორბელიანცისა და სხვა კერძო სკოლები.

### VII ჯგუფი. სამრევლო სკოლები.

### VIII ჯგუფი. სავაჟო გიმნაზიები.

1-ლი, მე-2 და მე-3 თავ-თავისის ორკესტრით.

### IX ჯგუფი.

1. რეალური სასწავლებელი თავისის ორკესტრით.
2. საოსტატო ინსტიტუტი თავისის ორკესტრით.
3. საბალოსნო სკოლა.

### X ჯგუფი.

საქალაქო სასწავლებლები.

### მე-XI ჯგუფი.

ამქრები ბაირაღებითა და ზურნით.

შენიშვნა: სამღვდელოება და ყველა დეპუტატები უნდა შევიდნენ ალექსანდრეს ბაღში იმ კარიდგან, რომელიც ხიდის პირდაპირ იმყოფება, და გაჩერდნენ ნიშთან. სასწავლებლები-კი უნდა შევიდნენ დანარჩენ კარებიდგან.

---

## ახალი წიგნები

დაიბეჭდა და უკვე იყიდება ახალი წიგნები:

1, „თხუზულებანი ა. ს. პუშკინისა“, გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“. წიგნს მიუძღვის მოკლე ბიოგრაფია პუშკინისა, შედგენილი გრ. ყიფშიძის მიერ. მოთავსებულია წიგნში შემდეგი თხზულებანი პუშკინისა: მებადური და ოქროს თევზი (პოემა-ზღაპარი) თარგ. თ. რ. ერისთავისა; ბაღჩისარაის შადრევანი (პოემა) თარგ. მიხ. თუმანიშვილისა; ძუნწი გმირი (Скупой рыцарь), სცენები, თარგ. თ. რ. ერისთავისა; პუშკინიდამ (ლექსი) თარგ. თ. მ. გურიელისა; კავკასიის ზვავი (ლექსი) თარგ. თ. ალ. ჭავჭავაძისა; ყვავილი (ლექსი) თარგ. მისივე; ანჩარ (ლექსი) თარგ. მისივე; სიზმარი (ლექსი) თარგ. მისივე; კავკასიის პატიმარი (პოემა — Кавказскій плѣнникъ) შემოკლებით ნათარგმანი თ. ს. გურგენიძის-მიერ; ჩიტი (ლექსი) თარგ. შ. მღვიმელისა; Романсъ (ლექსი — Подъ вечеръ осенью ненастной) თარგ. თ. რ. ერისთავისა; წინასწარმეტყველი (ლექსი) თარგ. თ. ილია ჭავჭავაძისა; ჭეშმარიტება (ლექსი) თარგ. მისივე; მიბაძვა პუშკინისა (ლექსი — Даръ напрасный, даръ случайный) თ. გრ. ორბელიანისა და სხ.

II პროზა. ნასროლი (ამბავი) თარგმ. ან. ფურცელაძისა; მეკუბოვე (ამბავი) თარგ. ვ. ქლენტისა; ბატონის ასული და გლეხის გოგო (მოთხრობა) თარგ. ლ. ლ. ქ. მ—საგან; დუბროვსკი (მოთხრობა) თარგ.

წიგნი სუფთად არის გამოცემული, კარგა მოზრდილია და ღირს ათ შაურად.

2, „ა. ს. პუშკინი“ — გამ. ი. იმედაშვილის მიერ. მცირე ბიოგრაფიულის წერილის და პუშკინის შესახების ლექსის გარდა წიგნში მოთავსებულია რამდენიმე ლექსი პუშკინისა.

წიგნი პატარა ზომისაა, 64 გვერდს შეიცავს და ღირს ორ შაურად.

---

Дозволено цензурою, Тифлисъ 25-го Мая 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე